იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურად 3 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადახდონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. სახლიდარგარეთ წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კაკვასის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

პარასკევი 29 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „იმერეთი“

თავადასის ქუჩა, ფარადოვის თაშაქის ქარხანის პირდაპირ შესასვლელში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 141 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 141

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნომერის	1 შაური.

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურად 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურად 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვეველად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

უ დ ი დ ე ს ი

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქუთაისში

კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად სადავითან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმიი სახელოსნო. ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში

იყიდეთ ძლიერ იაფათ. აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწერმ. კრებული) . „ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . „ 3 შაური.
7. მისიეგ. ისლამი. . . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისიეგ მოკლე გრამატიკა . . . . . „ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . . „ 10 შ.
5. მ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . . „ 2 „.
6. ალ. ჭიკინაძე. გეოგრაფია . . . . . „ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადადებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორების მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

შაბათს, ოცდა ათს აგვისტოს, ახალქალის (ლეჩხუმის მაზრა) საგვარეულო ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

კნეინა ეკატერინე გელოვანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: მეუღლე მისი, თავადი გიორგი ალმასხანის ძე; შვილები: ექიმი ასლან, ინჟინერი ვიკტორი, ალექსანდრე და ჯიუ; რძლები: კნ. სარა, ანა და პასიკო გელოვანები; ასულნი: კნ. ელენტი ჩიჩუასი და დოსია ჩიქოვანისა; სიძეები: თ-დ ალექსანდრე ჩიჩუა და რამინ ჩიქოვანი.

27 აგვისტოს დაბა სამტრედიაში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 22 წლის ახალგაზდა

ევდოკია (ლუნი) ივანეს ასული სტურუა,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა გარდაცვლილებულისა ნინო, ბიძა და ბეცოტა სტეფანე და დოდნა, ძმები: ანტონი თავისი მეუღლით, ისიდორე და დავითი: დები: პარასკევა, ეკატერინა და ავრაფინა, სიძენი: პავლე მეგრელიშვილი, იონა თევზაძე და ნიკოლოზ ფორფოლიანი. დაკრძალვა მოხდება 31 აგვისტოს, საღამოს ოთხ საათზედ. ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. პანაშვიდი დანიშნულია პარასკევსა და შაბათს, საღამოს 6 საათზე.

შაბათს, 30 აგვისტოს, სოფ. მაღლაკში მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გადაცვალებულის

ნესტორ გრიგოლის ძის ტყეშელაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით მოცულნი დი ოლინკა გრიგოლის ასული რუხაძისა და სიძე სიმონ პეტანის ძე რუხაძე შვილებითურთ და ბიძაშვილი ვასილი როსტომის ძე ტყეშელაშვილი.

შაბათს, 30 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ქუთაისის რომის კათოლიკეთა ეკლესიაში ბრწყინვალეთ გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი წმ. მამის რომის პაპის

პ ი ო

მეათის (X) სულის მოსახსენებლად.

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. ქთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი **საკუთარი** გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ დ. კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

—

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

მ ი ნ ა დ ო რ ა დ უ ნ დ უ ა ს

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,

გ ა ხ ს ნ ი ლ ი ა

ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშვების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ. 2 საათ.

ექიმის იგ. ბოკერიას

ს ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო

გადაეიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მისეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასწოლ ავათმყოფებს დებულობენ ყოველ დროს.

ექიმი გ. დ. ნასარიძე დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბოვშვების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და სალამოთი 5—7 საათამდე თვილისის ქუჩაზე, ეზიოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპარ).

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. ბ. მოსეშვილი ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევს 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი ვ. ი. კაკაბელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელეკტრონით შანაოება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელეკტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელეკტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპარ.

ექიმი ი. ჩარეკოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახლ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

ექიმი ბ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9-12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ელექტროლის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი

ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი გრიგოლ ალშიბაია უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

სამოსწავლო მთავროგის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ

სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშვთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშვების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშვების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მთოეს ასული

ხოჭოლავისა.

სრულიად ევროპის ომი

დეკემბერი

ᲨᲣ. ᲓᲣᲨ. ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲒᲐᲜ.

ლონდონი. 26 აგვისტო. ტრადიცია „იმპერიალისტი და „რეგვენ ჩრდილო ზღვაში ნადს წაადგენენ და დაიძირენ. „იმპერიალისტზე“ მოსამსახურეთაგანი ორი აღარსადა სჩანს.

ბელგრადი 26 აგვისტო. შუადღისას ბელგრადზე 2000 მტერის სომალლეზე გადაიარა მტრის აეროპლანმა და ორი ყუმბარა ჩამოისროლა. ზიანი არ არის.

კიევი. 26 აგვისტო. აქ მოიყვანეს ორი დასტა ტყვე-ავსტრიელები 1400 ჯარის კაცი და 45 აფიცერი. კიდეე მოელიან 30,000 (ოცდა ათი ათასამდე ტყვეს).

პეტროგრადი. გერმანიის გაზეთები თუმცა ცდილობენ უარი ჰყონ ცნობები თავის ჯარების რუსეთის სამზღვარზე გადმოყვანის შესახებ, და ამბობენ, რომ ჯარები ინტერესებს ალყის შემოსარტყმელად ავამოძრავეთო, მაგრამ ნამდვილათ კი დასავლეთ ფრონტიდან ალმასავლეთ ფრონტზე ჯარების საჩქაროდ გადაყვანა ამ უკანასკნელ დღეებში უფრო გაძლიერდა.

ბელგრადი. 26 აგვისტო. საღამოს ათი საათიდან დილამდე ქალაქის სხვადასხვა ნაწილებს მტერი თოფ-ზარბაზნებს ესროდა და დიდი ზარალიც მიაყენა. ბელგრადის დასავლეთ პოზიციას მტერი ზარბაზნებს ძალზე უშენდა, მაგრამ ამ სროლამ უშედეგოთ ჩაიარა.

პეტროგრადი. 26 აგვისტო. რადგანაც გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ სახელმწიფო დუმას 15 სექტემბრისათვის მოიწვევენო, „ცნობათა ბიურო“ დავალებული აქეს გამოაცხადოს, რომ მთავრობას არაფერი არ განზრახავს არა აქეს ამ დროისათვის საკანონმდებლო დაწესებულებანი მოიწვიოსო. ასეთ მოწვევის შესახებ მთავრობას საკითხიც კი არ აღუძრავსო. იმ ცირკულიარების საბაბუთოთ, რომლებიც შ. ნაგან საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა გუბერნატორებს — ეცადეთ სოფლის ყრილობანი დაეხმარენ ჯარში გაწვეულთა ოჯახებსა ბინანახულის შეკრებაშიო, გუბერნატორებმა აცნობეს სამინისტროს, რომ ყველგან სოფლის სახოკადოებანი დიდის ხალისით ეხმარებიან თავ-თავიანთ სოფლელებსო. აღსანიშნავია მაგრამაც ყოველ ზომებსა ხმარობს, რომ რაც შეიძლება მოაწესრიგოს ასეთი ეხმარების ორგანიზაციებიო. საკაჩრო სამინისტროსთან არსებულმა სამსაზეველმა განკოფილებამ მისდამი რეშუნებულ სასწავლებელთა უფროსებს, დაუგზავნა ცირკულიარები, რომლის ძალითაც სწავლა უნდა დიდწყოს ჩვეულებრივ დროს. იმ ადგილებში კი სადაც წესიერი წარმოება სწავლისა დარღვეულია ომის მეოხებით, სწავლის დაწყების დრო ᲘᲜᲓᲐ განსაზღვრონ. სასწავლებლების უფროსებმა და იდმინისტრაციამ ურთიერთან მოლაპარაკებით.

პარიზი. 26 ვვგვისტო. ტრუადან იუწყებიან, რომ გუშინდელ ბრძოლის დროს სხვა მარცხთა შორის გერმანელებმა მონრეიალთან თვალსაჩინო დამარცხება განიცადეს. ფარშამპენუაზთან ომი ისევ სწარმოებს. გამარჯვება მოკავშირე ჯარებისკენ იხრება.

პარიზი. 27 აგვისტო. ღამის 11 საათი. ოფიციალური განცხადება. უკან დახვევის დროს, მდინარე პტამორენზე გადასვლისას, მიმოსვლიე უზრუნველსაყოფელად, გერმანიის ჯარებმა რამდენიმე ცხარე იერიში მიიტანეს საფრანგეთის ჯარზე მდინარე ურკის მარჯვენა ნაპირას. ინგლისის ჯარი კვლავ ჭრა მიიწევს მდ. მირნისკენ. სეზანის ჩრდილოეთით, მაღლობზე საფრანგეთის ჯარები წინ მიდიან, თუმცა დიდის გაჭირვებით. კენტრში ბრძოლა კვლავ სწარმოებს. გამარჯვება ხან ერთ მხარეს არის, ხან მეორეს. მარჯვენა ფრთაზე, ნანსა ვოგეზებში მდგომარეობა სანუგეშოა.

რომი. 26 აგვისტო. „ᲙᲘᲝᲠᲜᲔᲚᲘᲝ-ᲢᲐᲚᲘᲐ“ ტრიესტიდან იუწყება, რომ ავსტრიელების ლეოვთან დამარცხებამ ადრიატიკის მთელ ნაპირებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეო. ყველზე დიდათ დაზარალებული რაზმები იტალიელთაგან შესდგებოდა. ქვეითა ჯარის 97 პოლკმა, რომელშიც განსაკუთრებით ტრიესტის მცხოვრებნი იყვნენ დაჭკრა 2000 კაცი. ქვეითა ჯარისაკთა 27 პოლკმა დაჭკრა თითქმის ამდენივე. 97 პოლკიდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 65 კაცი, მათ რიხეშია თავად გოვენლოლის შვილი, უბრალო ჯარის კაცი, რომელიც მსუბუქათ არის დაჭრილი.

ტოკიო. 28 აგვისტო. სამხედრო საჭიროებისათვის აღნიშნული კრედიტი 63 მილიონ მანათისა პარლამენტმა ერთხმად მიიღო.

ოსტენდე. 26 აგვისტო. ცნობაა, რომ გერმანელების მხედრებები უნახავთ ბრიუგეს ახლოს.

ნიში. 26 აგვისტო. გენერალი სტეპანოვიჩი დაინიშნა ვოეოდათ. ჩერნოგორიის ბრძოლის ველიდან არავითარი ცნობა არაა მოსული. სერბიის ჯარის იერიში გრძელდება. დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნება არ შეიძლება.

პარიზი. 27 აგვისტო. გამოქვეყნებულია ცნობა: მარცხენა ფრთა მოკავშირეთა წინ მიიწევს ურკისკენა და მონმირავლისკენ. გერმანელები უკან იხევენ მდინარე მარნის დაყოლებით. მოსეზომის შუა ფრანგიზლისელთა ჯარმა შეპყრო მრავალი ᲞᲧᲕᲝ, მათ შორის ქვეითა ჯარის მთელი ბატალიონი, ტყვის ფრქ ვეველთა რიცხვ და ტყვიაწამლის ყუთები. ცენტრზე ფერშამენუაზსა და ვიტრალეფანასუას შუა, ალგონის ტყის სამხრეთით რამდენიმე მეტოვე ბრძოლა მოხდა. არსად ჩვენ უკან არ დაგვიხევია. მტერმა უკან დაიწია ვიტრილეფრანსუასკენ ჩვენ ჯარჯვენი ფრთაზე გერმანიის დაეზიამ იერიში მიიტანა ბატალეენ-ნანსის ვასწვრივ, მაგრამ უკუქცეულ იქნა შანპენუაზის ტყის ჩრდილოეთით. აღმოსავლეთით ჩვენ კვლავ დავჭირეთ მანდრეს მთის ღელები და ფურიოსუღელტეხილი. ელზასში ცელილება არა მომხდარარა.

პეტროგრადი. ინგლისის მთავრობა იუწყება, რომ 27 აგვისტოს, რომ მოკავშირეთა ჯარის ყველა ფრონტზე მტერზე იერიშის მიტანა გრძელდება. ინგლისელები იბრძოდენ მთელი ღღე. მტერმა მედგარი ბრძოლის შემდეგ, უკან დაიხია და ახლა მდ. მარნის ჩრდილო ნაპირზე გადაეყვნ ჯარი. საფრანგეთის მეხუთე ჯარმაც გაიმარჯვა და ბევრი ტყვე ჩაიგდეს ხელში: ფრანგთა მეექვსე ჯარსაც, რომელიც მდინარე ურკასთან იყო, ძლიერი ბრძოლა მოუხდა მტერთან; მტერი განდევნილ იქნა. გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, მათი ცდა, რომ იერიში მოეტანა ჩვენზე—უნაყოფოთ დარჩა. ინგლისელების ზარალი მცირეა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომელიც ბრძოლას თან სდევდა. ორი დღის ბრძოლის შედეგი ᲯᲘᲠᲯᲘᲠᲘᲗᲘ ნაყოფიერია.

სიმლა. ინდოეთის ვიცეკაროლმა შეატყობინა მინისტრთა საბჭოს, რომ ომის საჭიროებისათვის ინდოეთი გადასდებს ომის საჭიროებისათვის 1 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

ლონდონი. 27 აგვისტო. ამსტერდამიდან იუწყებიან, რომ გერმანელებმა დალეეს რაც კი ეფფეებში სასმელები იყო, გააუბატიურეს ქალები, გაიტაცეს ძვირფასი განძეულობა და ფული და თითქმის ერთიანათ გადასწვეს ქალაქი ტერმოდი.

ვაშინგტონი. 27 აგვისტო გემი გამბურგი, რომელიც ზღვაში უნდა გასულიყო ამერიკის ბაირღლის ქვეშ, როგორც საგოსპიტლო ხომალდი, უცბათ დაკარგულ იქნა ნაცსადგურში, ვინაიდან ბრიტანეთის ელჩმა განაცხადა, რომ შეუძლებელია ზღვაში გასვლა ისეთი გემისა, რომელზეც გერმანელები მსახურობენ.

კოპენჰაგენი. 27 აგვისტო. ბერლინიდან ცნობა მოვიდა, რომ სულ მოკლე ხანში გამოუშვებენ პირველ რიგს საბჭდრო სესხის ასაღებ ფურცლებს. პირველად გამოსცემენ ერთ მილიარდ 5 პროცენტიან ბილეთებს საიმპერიო ხაზინისას. შემდეგ გამოსცემენ 5 პროცენტიან საიმპერიო სესხს, რომელიც განადღდება არა უადრესს 1924 წლისა. ორივე სესხის ᲞᲘᲠᲘᲡ მოწერის ფასი არის 97½.

პეტროგრადი. ოფიციალური. 27 აგვისტო. უმაღლეს მთავარ შტაბის სარდალი. 23 სა და 24 აგვისტოს ჩვენ იერიში მიეტანეთ ტომაშევის ჯარზე. ზამოსტიადან ჩრდილო-დასავლეთით, გრუბანოვოდან და რუსის რავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენგან დევნილი ავსტრიელები უწესოთ უკან იხევენ. ფრანპოლთან ლიუბლინსკისკენ ჩვენი ცხენოსანი ჯარი შეიჭრა მტრის ჯარში. ავსტრო-უნგრეთის ჯარი გამაგრებულ პოზიციებიდან განდევნილ იქნა მტერი სამხრეთისაკენ იხევს. იუზეფანნოპოლის შარა გზაზე მიმავალი ბარგი-ბარხანის ურმები ჩვენმა არტილერიამ დაფანტა. ვისლის მარცხენა ნაპირების ფრონტზე რუსის რავიდან დნესტრამდი დიდი ბრძოლა სწარმოებს. ლვოვთან დამარცხებულ ავსტრიის ჯარს ახალი ჯარები მიაშველეს ტირილის მეთოთხმეტე კორპუსის ერთმა ნაწილმა 25 აგვისტოს ღამით სკალა და იერიში მიეტანა ჩვენს ჯარზე, მაგრამ მეორე დღეს უკუ ვაგდეთ, ჩვენ ხელში ჩავიგდეთ გერმანიის ჰაერმფლანი. აღმოსავლეთ პრუსიაში მხოლოდ წვრილი შეტაკებიანი ხდება.

პარიზი. 27 აგვისტო. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ მდგომარეობა მარცხენა ფრთაზე, მიუხედავათ იმისა, რომ გერმანელებმა ახალი ძალები მიიშველეს, მდგომარეობა არ გართულებულა. გერმანელები უკან იხევენ ინგლისელების იერიშის გამო. ცენტრში ჩვენი მიხტომა მძიმეთ სწარმოებს, მაგრამ საერთო ხასიათი კი აქვს. მარჯვენა ფრთაზე ფრანდეურანდენსის წინააღმდეგ მტერი არას მოქმედობს. ვოგეზსა და ელზაში მდგომარეობა უცვლელია. კატჩენერმა დეკემბერი აცნობა მილერანს: ინგლისის ჯარი მგდნიერია, რომ საფრანგეთის ჯართან ერთად იბრძესო. ინგლისელები ამაყობენ იმით, რომ შეძლება ეძლევათ მხარი დაუჭირონ საფრანგეთის ჯარს. საფრანგეთი ყოველთვის მოიმედე უნდა იყოს, რომ ინგლისი მისი ერთგული იქნებაო.

ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔ. 27 აგვისტო. გუშინ საღამოთი ჩერნოგორიის ჯარმა ფიჩუ დაიპყრა.

პოლტავა. აქ მოიყვანეს ერთი ᲯᲒᲣᲤᲘ ტყვე ავსტრიელებისა. ბევრი მთგანი მადლიერია რუსებისა, კარგი მოპყრობისათვის. ირშუნებიან, რომ ავსტრია ფინანსიურ გაჭირვებას განიცდის და ხალხი უმაყოფილოა ომისაო.

პეტროგრადი. ვინაიდან ჩვენი ჯარი განუწყვეტლივ მოქმედებს, ამიტომ ᲯᲘᲠᲘᲔᲠ გვიანგარიშნია შედეგები ჩვენი გამარჯვებისა. მაგალითად: ორი დღის ბრძოლის შემდეგ 23 აგვისტოს, სალამითი, ჩვენ დაიპყრეთ მიოლოლაევი, ორი საათის დასაფეთებლ. მეორე კვლავ გამოუტეხეთ-მტერს ჩვენ ნაბიჯი, რათა ᲘᲠᲘᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ მათ პოზიციებზე; ფრონტის ყველა ადგილიდან ᲯᲒᲣᲤ-ᲯᲒᲣᲤᲐᲓ და დაუფლეთ ᲚᲐᲗ მოყვათ ტყვე-ავსტრიელები. ჩვენმა ზარბაზნებმა მოხეხებულათ დაბერტეს ვისლაზე ტყვიის მფრქვეველებით შეიარაღებული გემი ავსტრიელებისა.

ᲯᲐᲰᲐᲜᲘᲡ პოლკმა ფრანპოლიდან მოიყანა 17 აფიცერი, 445 ᲯᲐᲠᲘᲡ კაცი, ბევრი ცხენი და საკმენელი. ᲑᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲒᲓᲔᲚ 148000 კრონ. ფულის ᲧᲣᲗᲘ მე 19 ᲚᲐᲜᲓᲔᲒᲘᲠᲔᲑᲘᲡ პოლკისა ჩვენმა ᲯᲐᲠᲛᲐ 28 ᲒᲘᲠᲘᲡᲘ მანძილზე ზამოსტის სამხრეთაღმოსავლეთით 700 ტყვე წამოიყვანა აფიცრებით. მტრის დიდი სათადარიგო ᲯᲐᲠᲘ რუსის რვიდან განდევნილ იქნა. დამტკიცდა, რომ გერმანელებმა ჩვენი ᲓᲠᲐᲒᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘᲗ წაიყვანეს 27 აგვისტო. დიდი ბრიტანეთის თავრობის ცნობა. ᲯᲐᲠᲗᲐ შეკრებამ დიდ ბრიტანიაში დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია. ომის დაწყებიდან ᲯᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲒᲔᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ 300,000 კაცი. მათი რიცხვი თანდათან მატულობს მას აქეთ, რაც დიდ ბრიტანეის ᲯᲐᲠᲛᲐ აქტიური მონაწილეობის მიღება დაიწყო მტერთან ბრძოლაში.

ᲰᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘ.

უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში ეს მეორეჯერ არის, რომ საფრანგეთის სატატო ქალაქი დროებით გადადის პარიზიდან ბორდოს. ულმობელი მტერი სდგას 70 ვერსის მანძილზე მსოფლიო ქალაქის ერესიდან და წინასწარ სტკბება იმისი მომავალი ადგილით. მაგრამ არ შემკრთალ გული საფრანგეთის დიადი ერისა და ყველა მცხვრები უშიშრად ძახარის შეხედეს ტეტუნთა შემოსევის დიდ განსაცდელს. ყველა განათვიანებული ხალხი გიმოუთქმელი აღფოთებით და გულის ტკივილით თვალ-ყურს ადევნებს ამბებს, გამოსულს მშვენიერ ქალაქიდან, რომელიც უკვე შვიდი საუკუნეა, რაც ითვლება კულტურის უდიდეს ლამპრად.

სოფლავენ რა ფეხქვეშ სიმართლის სამუდამო კანონებს და სახელმწიფოთა შორის დადგენილ ხელშეკრულობას ომის ჩვეულობის შესახებ, ნემეცი ფრონტიანენ ესერიან ყუმბარებს პარიზის ეკლესიებს და ბაღებში მოსეირნე მშვიდობიან მცხოვრებთა ᲯᲒᲣᲤᲘᲗ. შესაძლებელია, რომ პარიზი ელის მოსკოვის ბედს, და საფრანგეთის ᲯᲐᲠᲘ წაბაძავს კუტუზოვის ტაქტიკას, რის გამოც ამჯობინებს განშორდეს სატახტო ქალაქს, რათა შეინარჩუნოს თავისი ძლიერება იმ მომენტამდე, სანამ დადგება სასიკეთილო საათი ძალგამოლეულ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲗᲓᲒᲐᲜ.

(ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲐ).

(შემდეგი, იხ. „იმერეთის“ № 140)

ი. ზარდალაშვილი. ამ მსახიობს ეს რამოდენიმე წელიწადია, რაც ქუთაისის სცენაზე ვხედავთ. იგი ვლ. მესხიშვილის შრომა-ღვაწლის ნამოფიცა.

თითქოს ყოველიფერი ხელს უწყობს სცენისათვის, თუ გონებითი განვითარებას მეტს ყურადღებას მიაქცევს.

ქართული ენის ცოდნა ძლიერ საპირო მისთვის, რომ უფრო თამამათ, უფრო ფართეთ გაშალოს სასცენო ნიჭი; იგი თავის როლებში ყოველთვის კარგი იყო.

ქალებ —მსახიობთა შორის იმ წელიწადს საზოგადოების ყურადღება და სიმპატია დავითაშვილის ქალმა მოიპოვა.

იგი თუმც ახალ-გაზდაა, მაგრამ ბუნებას იმდენ უხვათ დაუჯილდოვებია იგი გრძნობებით, გარეგნობით და თითქმის ყოველ გვარ სასცენო ღირსებით, რომ სულ ახლობელ მომავალში ეს ქალი თვალ საჩინო ადგილს დაიპყრს შეთქი, ეფიქრობდი მაშინ, და ახლა გამართლდა კიდეც ეს ჩემი ფიქრები. ისევ დღეს პირველი ადგილი უკავია ჩვენ არტისტებ შორის.

მშვენიერი იყო შემდეგ პიესაში: „ახალი მოძღვრება“, ცხოვრების გარეშე, როზა ბერნდ და ღალატში.

მ. მდივანი საზოგადოთ ცოცხალი და ცქრიალა ბუნების მსახიობია, არც გარეგნობა და არც სასცენო ნიჭი არ აკლია. იმ სეზონში მეტს ყურადღებას აქცევდა მმიკას, თვალების მოძრაობას და ეს ხანდისხან მკრთალ ფერს აძლევდა ხოლმე მის თამაშს. როდესაც რეცენზენტებმა ეს შენიშნეს,—შემდეგში თითქმის აღარ ემჩნეოდა მის თამაშს ამ გვარი წვრილები.

საზოგადოთ კომიკური როლები ძლიერ ეადვილებოდა და იმ სეზონშიდაც ამგვარ პიესებში კარგი იყო.

დ. ივანიძის ქალზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მისი სახეც საკმაოთ გამოკვლეულია.

მოხუცებულების როლში ივანიძის ქალი ყოველთვის კარგი იყო.

ესევე ითქმის ნ. გამყრელიძისაზედაც, მხოლოთ ამის შესახებ ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენებურ ტიპებში ჩინებული მსახიობია. კარგი იყო იმ წელს ვოდევილში „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“.

აქ ერთხელ კიდევ უნდა ვსოქვათ, რომ ჩვენი მსახიობნი თითქმის ყველანი სრულებით გამოიცვლებოდენ ხოლმე, როცა რომელიმე პიესას, ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებულს, თამაშობდენ. აქ ყველაფერი მთითვის ნაცნობი იყო და ისე ეადვილებოდათ თამაში, რომ გეგონებოდათ თითქო აქამდის დამბული იყვნენ და ესეც არის ახლა აუშვესო...

ვ. რონელი ჩინებული იყო სალონის როლებში. სეზონში შესანიშნავი იყო: „ჩრდილოეთის გმირებში“. იქ რონელის ისეთი როლი ჰქონდა, სადაც ქალს დედაკაცს მკაცრი ხასიათი, ვაჟ-კაცური შეხედულობა და თითქმის ველური ადამიანის ხმა აქვს და ლაპარაკის დროს შიშის თავზარს სცემს ყველას. ეს როლი პირდაპირ რონელის ბუნებას შეეფერებოდა და მშვენიერიც იყო ამ პიესაში...

ეს გახლავსთ იმ წლის ქუთათური დასის მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. აქ. შეძლებისადაგვარათ აეწუსხეთ მათი ნიშნობლივი თვისებანი, რამდენათაც გავიხსენე, არ გამოვკიდებივარ წვრილწვრილ ნაკლებს, რასაც ჩემის აზრით დიდი მნიშვნელობა არ ქონდა. არ შეიძლია ისიც არ გავიხსენო და არ გადმოქცეთ, რომ იმ სეზონში მსახიობთა შორის შურს, ჩვეულებრივ სამდურავს, ერთმანეთს დაუბრალს, სიძულვილს და მტრობას ადგილი არ ქონდა.

ყველა ძმურის სიყვარულით შეკავშირებულნი, როგორც ერთი ოჯახი ზრუნავდენ, ერთ სახოგადო საქმეზე და მამაშვილურის სიყვარულით შესაქცეროდენ თავიანთ პატრონს—ვლ. მესხიშვილს, რომელიც თანასწორ პატივს სცემდა მათ და მზრუნველობით, ფარველობას უწევდა ყველგან და ყოველთვის...

ამ სეზონში ბ. მესხიშვილმა მოიწვია თეატრის მოყვარულნი ახალგაზდა ინტელიგენტები და მათ, კვირაში ორ-ᲯᲔᲠ ლექციების კითხვა დაავალა თავის დასისათვის.

ამ მიზნით ბ. ალ. გარსევანიშვილი დრამატიულ პოეზიის ისტორიიდან კითხულობდა ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ. ბ. პიასეცკი — დეკლამაციის თეორიიდან და ბ. ი. გოგმართელი კი სამკურნალო მეცნიერებიდან.

ამას გარდა ბ. გარსევანიშვილი, პიესის წარმოდგენის წინ, მსახიობთ აცნობდა პიესის ავტორს, მის მოკლე ბიოგრაფიას და პიესაში გატარებულს იდეასა—დედა აზრს, მიმართულებას, შემდეგ კი წარმოადგენდენ ხოლმე თვითონ პიესას.

III.

ამ გვარათ გათავდა ეს სეზონი. ᲕᲚ. მესხიშვილი დაბრუნდა თავის დასს. ᲥᲐᲜᲘᲜ გამყოფელიძეები წაიყოლეს თავის სამშობლოში-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲨᲘ. —

ჩვენში კი მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა და ფრთებს ისხამდა. ხალხი აღელვებული იყო და ზღვასავით ბობოქრობდა.

ყველგან მდიდრებისადმი საყვედური, უფროსისაგან უნაროსის დამცირება, დიდისაგან პატარის დაჩაგვრა. მქირავებლისაგან დაქირავებულის გაღალატეა და ამგვარები ისმოდა ხალხში.

ყველას ენაზე მუშა, მონა, ბურჟუა, ბატონი, მოსამსახურე და მრავალი ამის მსგავსი სიტყვები ეკარი და მუსაიფობდა, მსჯელობდა.

ვის შეეძლო მოსამსახურესათვის ერთი ხმა მაღალი სიტყვა ეთქვა, რომ იმწამსვე სასამართლოში არ ყოფილიყო გამოწვეული. თუ პატარა კაცი დიდ კაცს უჩინოთ ვოდა, უსათუოთ დიდ გაამტყუნებდენ ხოლმე.

ღარიბი თუ მდიდარს, უსათუოთ მდიდარი იქნეს მტყუანი, მიტომ რომ იგი მდიდარი იყო.

ერთი სიტყვით ბევრი ამ გვარი საქმეები ხდებოდა და ირჩეოდა იმ დროს ჩვენ კურთხეულ ქუთაისში, ერთს დროს ხალხმა გვერდი აუქცია სახელმწიფო სასამართლოებს. იგი არ შედიოდა მართებულობის დაწესებულებებში თავის საქმეებს თვითონვე არჩევდენ—განაგებდენ.

იმ დროებში ვინ ვის არ იწუვდა სამედიატორო სამართალში?!

ტყვილა, ერთი მადიანათ, მაგრამ რომ ჩაგებველება და შენი მეზობლისა თვის ნერვები დამეფრთხო, მეორე დღეს სამედიატორის სამართალში გამოგიწვევენ შენი მეზობელი და გაგასამართლებდა...

დიახ, ამ გვარი აშლილი დრო იყო და ამ დროს გვეგონა სეზონზე ფიქრიც არავის მოუვიდოდა, არამც თუ რომ ამხანაგობა შესდგებოდა, მაგრამ ვხედავთ, რომ 1905 წ. 16 მაისს ქუთაისის თეატრის ახალგაზდა მსახიობნი მ. მდივანი, გაიანე ზარდალაშვილი, გრიგოლი ჩარკვიანი, იოზა ზარდალაშვილი, ალ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, ᲐᲚ. ᲛᲣᲠᲧᲣᲚᲘᲫᲔ და ᲕᲚ. ᲐᲛᲐᲨᲣᲚᲘ ᲗᲔᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გამარჯვებული მტრისა. პარიზი უკვე ემზადება ხანგრძლივი ალყისათვის. ნემცებს წარმოდგენილი აქვთ, თუ როგორ გასაშტერებელ შთაბეჭდილებას მოახდენს ფხიერ ფრანგებზე პრუსიის ჯარების შესვლა პარიზში. მაშინ ბერლინის დიპლომატიას გაუჩნდებიან ნეიტრალური სახელმწიფოები, რომელთა შუამავლობით შესაძლებელი გახდება საკითხის აღძრა მშვიდობის ჩამოგდების შესახებ; მაგრამ გერმანიის იმედები აშენებულია სიღრეზე. არა თუ ალყის შემორტყმა, არამედ პარიზის აღებაც ვერ შეაწყვეტინებს საფრანგეთის კეთილშობილ ერს ბრძოლას ამაყ ბარბაროსებთან. თუმცა ომის ძლიერებამ ძლიერსა დაიპყრო ერთი მეათედი ნაწილი საფრანგეთის ტერიტორიისა, გაგრამ მატერიალური რესურსები საფრანგეთისა გამოულეველია და თან ხალხის სულის ბსკერში ინახება კიდევ უფრო დიადი სუნჯუ ჯალლების მსოფლიო გენიისა და მაგარი რწმენისა მათ ნათელ მომავალში. 1870 წლებში დაჰკარგა რა თავისი ჯარები, საფრანგეთმა, მიტოვებულმა ყველისაგან და ამავე დროს შინაური უთანხმოებით შეავწროვებულმა, ნახევარი წლის განმავლობაში გმირულად ებრძოლა პრუსიელებს და ეხლაც ისევ ის მემკვიდრეობითი მტერი წამოაწყდა თავს საფრანგეთის ერს, შეუდრეკელს და გამსკვალულს მხოლოდ ერთი აზრით განდევნოს უკანვე მოსულები და მოსპოს ბუდე ძალმომრეობისა. საფრანგეთის ჯარი უძლეველია და გამეფულთაც იბრძვის თავისი სამშობლოს დასაცავად. საფრანგეთთან ერთად იბრძვის სამი დიდი სახელმწიფოს ერი და სამიც პატარა, მაგრამ მეტად მამაცი ხალხი. მოკავშირე სახელმწიფოები არ უყურებენ გულგრილად პარიზის ბედს; ინგლისი აჩქარებს მეორე არმიის შედგენას, აგზავნის ხმელეთზე კიდევ ფელდმარშალ რობერტის მიერ შედგენილ მესამე არმიას, რომელიც შესდგება ინდოელების ჯარებისა და კოლონიების რაზმებისაგან. ჩვენი ჯარების ფეხის შედგმამაც აიძულა უკვე ნემცის ჯარის უმთავრესი ბანაკი მიჰყოს ხელი ჯარების გადაყვანას დასავლეთის ფრთიდან აღმოსავლეთისაზე და აწ ბევრი ხანი აღარ გაივლის, სანამ მოახდებოდეს დიდი შეტაკება. შავმა რასამაც ამოიღო ხმა სიმართლისათვის: კაპსკის კალონიიდან 5,000 კაფრი და ზულუსი მიემგზავრება მოხალისედ საფრანგეთში ბრიტანიის საკოლონიო ჯარებში ჩასაწერად.

მთელ დედამიწის ზურგზე ყოველი ადამიანის თვალი მიჩერებულია ამ საათში ჩვენი პლანეტის ერთ წერტილზე, სადაც ამაყათ სდგას პარიზი იმისი უკვდავი დევიზით: „ᲥᲐᲜᲐᲛᲔᲡ ᲛᲐᲠᲐ ᲐᲠ ᲘᲛᲘᲠᲔᲑᲐ“.

(რ. ს.).

—◆—

ამ ამხანაგობის შედგენის დროს ბ. დ. ჩარკვიანი აქ. ქუთაისში არ ყოფილა და შედგენაში არც ჰრაფერი მონაწილეობა არ მიუღია იგი ჩაწერილი მათ რიცხვში მხოლოთ მაშინ, როდესაც ბ. მესხიშვილს უარი უთქვამს ამხანაგების პირობაზე და მისი წევრნი უკმაყოფილოთ ოჯახიდგან გამოესტუმრებია.

ბ. დ. ჩარკვიანის წევრათ ჩაწერის შემდეგ ამხანაგობას გადაუწყვეტია ერთად: მოკიწვიოთ საზოგადოება და გადავსცეთ ის, რაც დიდის ხნობით, ცივი ლოდის მსგავსათ, გულზე მძიმეთ გვაწევს და ცხოვრების სახსარის მოპოვების ღონის ძიებას გვისპობს. ვუთხრათ მას გულწრფელათ, გულახდილათ ჩვენი ახსარება, აღსარება, რომელშიაც გამოიხატება ბ. მესხიშვილის უფროსობის და ხელმძღვანელობის დროს ჩვენი ხანგრძლივი მონობა, ზნეობრივათ დამცირება და ხშირათ მის მიერ მოყენებული ფიზიკური სასჯელიც.

ამ მიზნის განსახორციელებლათ ამხანაგობამ დაუყოვნებლივ შეკრა რამოდენიმე კაცი, ამოირჩია მათ შორის სამი და დაავალა მათ დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ბ. მესხიშვილისათვის ამხანაგობის სურვილი და თან ისიც, რომ ამხანაგობა იწვევს მას საზოგადოების წინაშე თავის გასამართლებლათ ყველი იმ ბრალდებაში, რასაც ეს ამხანაგობა დაუყენებდა მას თვალის წინ. ამორჩეულმა კაცებმა შეასრულეს საზოგადოების მინდობილება და ბ. მესხიშვილისაგან პასუხი სრული თანხმობა მოიტანეს.

ამის შემდეგ 29 მაისს, იმავე ამხანაგობამ ქუთაისის საზოგადოება კიდევ მოიწვია, სათეატრო დარბაზში. საზოგადოებამ სერიოზულათ შეხედა ამ საკითხის გამოკვლევას და მოელი დარბაზი მაყურებელ საზოგადოებით გაიჭედა. ეს პირველი საზოგადო მსჯველი იყო მოღვაწის პიროვნების შესახებ. მოვიდა ბ. მესხიშვილიც და საზოგადოების სურვილის თანახმად აირჩიეს თავჯდომარე, მსაჯულები და მდივანი. გაიმართა კრება.

კრების დაწყებამდის ბ. მესხიშვილმა საზოგადოებას სთხოვა შემდეგი: „რადგან მე და ჩემი მოღვაწეობა მარტო ქუთაისს ანუ ჩვენი ქვეყნის რომელიმე ერთ-ერთ კუთხეს არ ეკუთნის, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანას, გთხოვთ ამოირჩიოთ რამდენიმე კაცი, მიანდოთ მათ ამ საქმის ყოველმხრივ გამოძიება და რასაც ისინი აღმოაჩენენ, გაზეთების საშუალებით ყველას ეცნობოს. ამაზე ყველამ თანხმობა გამოაცხადა და მაშინვე აირჩიეს სამი კაცი, რომლებსაც მიუმატეს წინ არჩეული პირები და ყველას ერთად დაავალეს ამ საქმის დაწვრილებით გამოკვლევა და გამოძიების შემდეგ კრების მოხსენება.

თეოფილე ხუსკივაძე.

(შემდეგი იქნება).

ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲝᲛᲘᲡᲒᲐᲜ.

გაზეთი „temps“ თანამშრომელი გვაწვდის საინტერესო სტატისტიკურ ცნობებს იმ ზარალის შესახებ, რომელსაც განიცდის ხალხი გაუმჯობესებული საომარი იარაღის ხმარებით. ჯერ ისევ სამოციან წლების დამლევს საფრანგეთის პოლკოვნიკმა პიკმა ამის შესახებ გამოსთქვა ბარადოქსალური აზრი: „საომარი ტეხნიკის გაუმჯობესებას დიდი ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი. ცდილობდენ გამოგონათ ისეთი სასროული იარაღები, რომლებიც მეომართ მისცემდათ საშუალებას ეომათ შორი მანძილიდან. ცეცხლის მფრქვეველმა იარაღებმა შეამცირა დამარცხებულთა ზარალი ხოლო მათ გაუმჯობესების შემდეგ ზარალი დღითი-დღე კლებულობს — ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

საფრანგეთ პრუსიის ომის დროს 1870 წ. რვა საათის ბრძოლის შემდეგ ფრეშვილერსთან გერმანელებს ჯარში მოკლულ ჯარისკაცთა რიცხვი შეადგენდა 71,000 მეომართაგან — ფრანგებთაგან — 21 პროც. (36800 - რეზანვილიან ათი საათის ბრძოლის შემდეგ გერმანელებს ზარალი იყო 25 პროც. — (63,000) თავან) ფრანგები 10 პროც. 113,000

რუსეთ იაპონის ომის დროს ერთი უდიდესი ომის დროს ლოიანთან, რომელიც გაგრძელდა ათ დღეს იაპონელებს ზარალი უდრიდა 13 პროც., ხოლო რუსების 9 პროც. უკანასკნელ ბალკანეთის ომში არცერთი შეტაკების დროს მეომართა საერთო რიცხვისგან არ აღემატებოდა.

—◆—

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

პეტროგრადის გაზეთი „რეჩ“-ი შემდეგს მეთაურს უძღვნის ოსმალეთის ეხლანდელ საომარის მზადებას:

„ოსმალეთის გადაწყვეტილება, ეტყობა, საბოლოოა. ეხლა გვიანღაა იმის შესახებ ლაპარაკი, თუ რამდენად გონიერია ეს გადაწყვეტილება. ეხლა მხოლოდ ანგარიში უნდა გავუწიოთ მას, როგორც მომხდარ ამბავს, ფაქტს. სტამბოლიდან მოსული ცნობები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ოსმალეთის სატახტო ქალაქში უკვე აღარ არსებობს გარჩეკა ოსმალოთა საკუთარს ჯარსა და გერმანიის ჯარს შორის. საჭაროდ ჩამოდიან გერმანელი ოფიცერები, მოაქვთ გერმანიიდან ზარბაზნები, სურსათი, მოჰყავთ გერმანიის სათადარიგო ჯარისკაცები. გერმანიის მეომრები ნაღირობენ მცირე ბზიის ნაპირებში ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის გემების დასაჭერად. ოსმალეთის ქვეშევრდომნი საჭაროდ სტოვებენ რუსეთს; საფრანგეთის და ინგლისის ქვეშევრდომნი გარბიან სმირნიდან. ფორმისათვის დიპლომატიური მოლაპარაკებაა; ფორმისთვის ოსმალეთის დიპლომატები იმეორებენ, რომ ოსმალონი არავის წინააღმდეგ არ ემზადებიან. ამავე დროს ენვერბეისა და ტალაათ-ბეის მთავრობა ცდილობს საჭაროდ დაამთავროს სამხედრო მომზადება, საზღვარზე მიიყვანოს ჯარი, მოიტანოს იარაღი. ტალაათბეის მოგზაურობა იმიტომაა გამოგონილი, რომ დრო მოიგონ საომარ სამზადისათვის; მის დაბრუნებას მოელიან, როგორც ნიშანს „გაზავათის“ (წვინდა ომის) გამოსაცხადებლად. გერმანელებს სწადიათ აღმართონ თავის მოპირდაპირეების წინააღმდეგ მწვანე დროშა ისლამისა; პანგერმანიზმი უერთდება პანისლამიზმს!

ვინ დაიწყებს ფაკტიურად პირველ ომს? ვის წინააღმდეგ იქნება მიმართული ყველაზე უწინარეს სახხედრო მოქმედება? ვინ იქნება ხელის შემწეობი და ქომაგი ამ ომისა? გაიფლის რამდენიმე დღე და ჩვენ მივიღებთ ყველა ამის პასუხს. მაგრამ ზოგიერთის პასუხი ეხლაც შეგვიძლიან გავითვალისწინოთ.

გაზეთი ჰეფკრობს, რომ ოსმალეთი საბერძნეთის წინააღმდეგ ამხედრდება. ხოლო თუ ბულგარეთმა თავის ტერიტორიაზე გაატარა ოსმალეთის ჯარი, მაშინ ომში ჩათრეული იქნება ბულგარეთთან ერთად საბერძნეთი, სერბია, რუსეთიო.

„ყოველ შემთხვევაში ოსმალეთი უმთავრესად რუსეთის წინააღმდეგ ემზადება. რუსეთის მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად გერმანელები ჩქარობენ ხტამბოლი ნაღველ ციხედ გადააკეთონ. ამავე მიზნით ამაგრებენ ერზერუმსა და ტრაპიზონს. მაგრამ მარტო მოგერებს არ კმაყოფილდებიან. ოსმალებს ბრძოლა მტრის ბანაკშიც გადაქცეთ...

დეპეშებმა ცნობა მოგვიტანეს, რომ ოსმალეთის ქადაგებამ ნიადაგი იპოვნა სპარსეთში. სპარსული გაზეთები არწმუნებენ თავიანთ მკითხველებს, რომ ინგლისი და რუსეთი აუცილებლივ დამარცხდებიან. ბაზარზე და ქუჩაში ახდილად ლაპარაკობენ, რომ ოსმალოები თავს დაესხმიან რუსებს ადერბეიჯანიდან. უკანასკნელი ხმა გასაოცარია, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ ოსმალეთის სამხრეთით რუსეთზე თავდასხმა ოსმალოთათვის სახეირო არაა. აქ თავდაცვის საქმეც კარგადაა მოწყობილი და მეხოვრებენიც ჩვენ თანაგვიგრძნობენ. ინგლისელმა მოგზაურმა ბაკსტონმა ამას წინად მშვენივრად დაასურათა, თუ რამდენად თანაგვიგრძნობენ რუსებს სომხები და როგორ ერიდება ოსმალეთი ბრძოლას მათ ადგილებში. სულ სხვაა ადერბეიჯანი. აქედან შესაძლებელია შესევა მტკვრისა და არაქსის ველში, შეიძლება აქაურ მკედარ მაჰმადიანებთან საქმის დაჭერა...

ბაზრის ხმები, რასაკვირველია, უაზრობაა. მაგრამ ამგვარს ხმებს უკვე შეაქვთ არეულობა და განხეთქილება კავკასიის ერთა შორის. არ უნდა დავმალოთ, რომ მთლად არ გამქრალა ჯერ ის სულიერი განწყობილება რომელიც წარმოშვა 1005 წელი. საჭიროა, რომ თავერობა დიდის ყურადღებით შეეცადოს ამ სულიერი განწყობილების შეკავებას. ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საქმეში მთავრობას დაეხმარებიან ადგილმბრივ მკვიდრთა დეპუტატები რომელთაც ამ აზრით ილაპარაკეს ამას წინათ სათათბიროში, და რუსეთის სახელმწიფოს სხვა წარმომადგენელნიც.

თუ გარემოებამ წინ წამოაყენა ერთი რომელიმე ერი, რომელიც განსაკუთრებით აქტიურს როლს ითავებს, ამან არ უნდა მისკენ სხვებს საბაში ქიშპობისათვის. ეხლანდელი განსაცდელის დროს ქიშპობისათვის სხვა კეთილშობილური ასპარეზი არსებობს ქიშპობისათვის — ერთსულოვანი დაცვა საერთო სახლისა. ვიფიქროთ, თუ როგორ მოვეწყოთ მშვიდობიანოთ ამ სახლში, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ჯერ ეს სახლი უნდა დავიცვათ მთლიანად“.

ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ.

წერილი ციურიხიდან.

საშინელი ომის გამოცხადების ამბებმა, უეცარ გზების შეკვრამ და ფულის ღირებულების დაკვამამ ყველა რუსის ქვეშევრდომთ, ვინც ევროპის სხვა და სხვა კუთხეში იყო, თავზარი დასცა. ცხოვრობდენ კურორტებში, თავს ირჩენდენ სხვა და სხვა ავადმყოფობისაგან და ისვენებდენ რუსეთის ცხოვრებისაგან დაღლილნი. არავინ არ მოელოდა ასეთი მეხის დატეხას თავზე. მაგრამ აკსტრიამ განუცხადა ომი სერბიას თუ არა, კარლსბადიდან, მარიენბადიდანა და ფრანცენსბადიდან დაიწყეს გაქცევა. სადგურზე ვაგონებთან ბეზავრების შეტაკებები ხდებოდა. რუსი ქალები ერთმანეთს ტანსამოს აგლეჯდენ და ცდილობდენ ადგილის დაპრას ვაგონებში. ორი დღის შემდეგ უკვე დაგვიანებული იყო გამგზავრება. საზღვარზე მდებარე ვოლჩჩისკისა და ალბეკარ სადგურებით მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. ასეთი ირეულობის დროს არავინ ფიქრობდა რამდენიმე ათისი რუსის ქვეშევრდომის ბედიღბალზე. ლვოვში სამასი მოგზაოდა. სრულებით გონებადაკარგული კონსული, რომელსაც ავსტრიის მოხელეებმა, მოსთხოვეს რა ანგარიშები, დაუტუსაღეს ყველა მოსამსახურე, ურჩევდა ყველას გამგზავრებულიყვნენ შვეიკარიაში.

იქიდან კი როგორმე მიაღწევთ რუსეთსაო.

ისტერიულათ მტირალი რუსის დამეგი სთხოვდენ კონსულს გაყოლოდა ქვეშევრდომთ რუსეთის საზღვრამდი და ფეხით გადაეცლოთ იგი რუსეთის დროშით ხელში, რომელთაც რუსის სალდათები დაიფარავდენ. მაგრამ კონსულმა ასეთი გაბედული ნაბიჯი წინ ვერ გადადგა. შვეიკარიაში წასვლა უფულოთ შეუძლებელი იყო. ბანკებმა უარი უთხრეს რუსის ჩეკებით ფულის მიკემაზე და მის დახურდავებაზე. კონსულმა მოახერხა მხოლოდ თითეული კაცისთვის მიეცა 10 კრონი.

ზოგი თავის ბრილიანტებს ძლიერ მცირე ფასით ყიდდა, ზოგმა რუსეთის ფული ნახევარ ფასში მიყიდა ჩარჩებს და ძლივს მიაღწია ციურიხამდი. სიჩქარე აუცილებელი იყო, რადგანაც მობილიზაციის გამო 6 აგვისტოდან, ახალი სტილით, ავსტრიის გზით მიმოსვლა შეწყვეტილი იქნებოდა. ამნაირათ ბევრმა ვერც კი მოასწრო ვენიდან გამოსვლა, რა გადახდათ თავს რუსეთის ქვეშევრდომთ ვენაში — ჯერ არავინ იცის, ამბობენ, ყველას დაატყვევებენო. 300 სერბიელი დამალეს პატარა ქალაქ კაგრაწში, რუსებისათვის კი მოამზადეს ბარაკები ლინცაში. მატარებელი, რომელიც 5 აგვისტოს გამოვიდა ვენიდან ციურიხისაკენ გაქცევილი იყო რუსებით. ციურიხის სადგურთან მათ შეხვდათ რუსი სტუდენტები, რომელნიც დაეხმარენ ბარგის გადატან-გადმოტანაში. ამ სტუდენტებმა ბოლოს ხაფანგში ამოყვეს თავი; ფოშტით გადაგზავნის საშუალება შესწყდა და ფულის მიღება მშობლებისაგან შეუძლებელი გახდა; იგინი იძულებული იყვნენ ემუშავათ სადგურზე „ნოსილშიკებათ“ და შვეიკარიის ბაღებში თიეის მოსაგროებლათ. მემამულენი სიამოვნებით ღებულობდენ სტუდენტებს მუშებათ, რადგანაც მობილიზაციამ მუშა ხელი შეამცირა, ციურიხშიაც რუსეთის ჩეკები და აკრედიტივები არ გადიოდა და რუსის შეძლებული პირები დიდ გაჭირვებას განიცდიდენ, მართალია, ერთი მდიდარი ბანკი, შეებრალა რა რუსის ქვეშევრდომები, და დაეთანხმა ფულის დახურდავებაზე, მაგრამ თითო თუმნის მეტს არ ახურდავებდა თითოეულ კაცს.

სიამოვნებით ამოვისუნთქეთ მაშინ, როცა გავიგეთ, რომ რუსის მისია ბერნში სიამოვნებით ახურდავებს ფულს, განუსაზღვრელი რაოდენობით. დაბოლოს ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა, როცა გავიგეთ, რომ მომავალ კვირაში გენუეიდან გავა რამდენიმე ორთქლმავალი რუსეთს დარდანელის გზით ადესისკენ. ამნაირად შესაძლებელი გახდა სამშობლოში დაბრუნება, მშობლებისა და ნათესავების ხილვა და რუსეთის საზოგადოებასთან ერთად პირველრამის გადატანა ამ ისტორიულ ბანაში.

—◆—

ᲞᲚᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ.

ვინც 1 ენკენისთვემდე მთელი წლის გაზეთის ფასს არ გამოგზავნეს, **ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲛᲝᲡᲘᲡᲙᲝᲠᲒᲐ**, შემდეგ ფულის ქონისა ენისას დაკლებულ ნუმრეს რედაქციიდან ვერ მიიღებს. ვსთხოვთ ადგილობრივ ხელის მომწერთ, რომ გაზეთის დამტარებლებს რედაქციის კუთვილ ფულს ნუ გადასცემენ. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს არ ეაგებთ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

სწავლაგანათლების მინისტრმა ლ. ა. კასსომ სახელმწიფო საბჭოს მოახსენება წარუდგინა შესახებ იმისა, რომ იმ პირველდაწყებითი სამინისტრო სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც გაწვეულნი არიან ჯარში, შეენახოთ ადგილიც ჯამაგირიც და აგრეთვე ყოველი 5-თ წლიანი დამატებით. სამინისტროს გამოანგარიშებით იმ მასწავლებელთა რიცხვი, რომელთაც ჯარში გამოწვეულ მასწავლებელთა ადგილი უნდა დაიკავონ დროებით, უდრის 33,000 კაცს, ხოლო მათი ჯამაგირების ჯამი კი 4.500,000 მანეთს.

ვანდერველდეს წერილი რუსეთის სოციალ-დემოკრატებისადმი.

ბელგიელმა სოციალისტმა და მინისტრმა ვანდერ-ველდემ ამას წინად მხურვალე წერილი გამოუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს სოც.-დემოკრატიულს ფრაქციას, რომელშიაც მოუწოდებს ინგლისს, საფრანგეთს, ბელგიისა და რუსეთის სოციალისტებს ხელში აიღონ იარაღი გერმანიის მეუფის შესაჩუსაავად.

ამ მოწოდების საპასუხოდ იწერება კოლექტიური წერილი.

გერმანიის ცეპელინები.

ახლო მომავალში გერმანიის ჯარს ეყოლება სულ 32 ცეპელინი.

სულიერი განწყობილება პარიზში.

მთავრობის გადასვლამ პარიზიდან ბორდოში მცხოვრებთა სულიერი განწყობილება ოდნავათ არ შეარყია. პარიზი ისევ ძველებურათ ამაყათ გამოიყურება. უმეტეს ნაწილს იმედი აქვსო, რომ პარიზი გადაიქცევა გერმანელთა ჯარის სასაფლაოთ, რადგან ისინი მოიკანცლებიან აღმოსავლეთის საზღვრებე გადასვლით, სადაც მათ გარს შემოერტყმენ ფრანგთა და ინგლისელთა ჯარი.

პარიე ენერგიულათ ემზადება თავის დაცვისთვის. უნივერსიტეტის რეკტორი ლიარი ურჩევს პროფესორებს ემზადნენ მომავალი კურსებისათვის, უნივერსიტეტი გაიხსნება 1 ნოემბრისათვის.

—◆—

ᲛᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲛᲤᲚᲝᲑᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ.

როგორც პრესაში, ისე საზოგადოების ზოგიერთ წრეებში საკითხი აღიძრა, რომ შეეწყვეტინა მდგომარეობის გამო მორატორიუმი, ან დადასახადის ვადის გაგრძელება, შეეხოს იმ გადასახადებსაც. რომელსაც მსესხებელნი საადგილ მამულო ბანკებს აძლევდა.

ფინანსთა სამინისტროში ამგვარი წესის შემოღება შეუძლებლათ მიიჩნიათ, შემდეგი მოსაზრებით:

ხსენებული გადასახადთა შესახებ ამგვარ შელავთის დაწესება ერთი მხრით ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომელთაც ეექსილებენ შემოღებული მორატორიუმი არ შეეხეთა იმპერიის ყველა ადგილებს; ხოლო მეორე მხრით იგი გამოიწვევდა გირავნობის ფურცელთა და ობლიგაციების კუპონების განადგურების შეჩერებას, რაც უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდებდა ამ ფურცლების პატრონთ და ძლიერ ცუდათ იმოქმედებდა იმავე ფურცლების ფასზე — კურსზე და ამის მიზეზთაც იმ უძრავი ქონებათა პატრონებზე, რომელთაც საადგილ-მამულო ბანკებში კრედიტი ესაჭიროებიან.

ახლანდელ გარემოებებში ჯარის საჭიროებისათვის საინტენდანტოებს დიდძალი პური ეჭიერებათ, რაც შემოსავლის გასაღებია საქმეს დიდათ ხელს შეუწყობს და უმეტეს შემთხვევებში მსესხებლებს შეეძლება მიეცემათ ადვილათ გადიხდიდნენ ოპოტეკურ დაწესებულებათა გადასახადები.

ამ მოსაზრებით საადგილმამულო ბანკების გადასახადთა შესახებ საერთო შეღავთის დაწესება სრულიად არ არის განძრახხული; მით უმეტეს, რომ ყოველ კერძო შემთხვევებში თვით საადგილმამულო ბანკებს თავის წესდების ძალით უფლება ეძლევათ თითონ მისცენ მსესხებ-

ლებს შეღავათი იმ სახით, რომ საყურადღებო შემთხვევებში მსესხებელს ორი სავადო გადასახადის (მთელი წლის) გადასახადი გაუნაწილონ სამი წლის ვადით.

„Торгово-пр мышл. газ."

ქუთაისი

ახალი ამბავი.

გუშინ, 28 აგვისტოს საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოწვეული იყო ქალაქის სასკოლო კომისია, სხვადასხვა საკითხების გასარჩევად.

✦ კვირას 31 აგვისტოს, ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამბმარე საგუბერნიო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრის მიერ, - ქალაქის ბაღში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა ლოტარია-ალეგრით, რომლის შემოსავალიც გადაიდება ხსენებული კომიტეტის თანხის გასაძლიერებლათ.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება — 9 სეპტემბრისათვის არის დანიშნული.

✦ როგორც სხვა და სხვა სოფლებიდან გვწერენ, წვლის ძლიერ ადრე ა